დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის/ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

შპს - ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების *მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება*

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე:** ლიკა გიორგაძე **წევრ(ებ)ი:** ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☒ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	212807550

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქ. ქუთაისი**
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №20
საფოსტო ინდექსი	4600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://progresskutaisi.ge/ka
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	gaschoolprogressinfo@gmail.com, infokutaisi@schoolprogress.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	+ (995 431)25 25 09

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	2024 წლის 17 სექტემბრის ბრძანება № MES 8 24 0001140894
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2024 წლის 11 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქ. ქუთაისი, აღმაშენებლის გამზ. №20
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქ. ქუთაისი, აღმაშენებლის გამზ. №20
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქ. ქუთაისი, აღმაშენებლის გამზ. №20

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ვიზიტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა 2024 წლის 11 ოქტომბერს. წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მესამე სტანდარტთან დაწესებულების რესურსების შესაბამისობა. პროცესი კეთილგანწყობილ, კონსტრუქციულ და თანამშრომლობით გარემოში წარიმართა. დაწესებულების თანამშრომლები ხელს უწყობდნენ ექსპერტთა ჯგუფს მუშაობაში. ვიზიტის დროს განხორციელდა დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, იმის გათვალისწინებით, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განაცხადის წარდგენის შემდეგ გარკვეული გარემოებები შეიცვალა დაწესებულების სტრუქტურასა და საშტატო განრიგში. ასევე, დამატებით განხორციელდა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა და შესწავლა, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზუალური დათვალიერებით გადაამოწმა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა გასაუბრებები დაწესებულების წარმომადგენლებთან, მათი კომპეტენციის სფეროების გათვალისწინებით. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებების შესახებ.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
800	780

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

- სკოლა უზრუნველყოფს შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის და პასუხისმგებელი თანამშრომლების მეშვეობით. ვიზიტის მიმდინარეობისას ერთი მონიტორით ვერ ხერხდებოდა სრული პერიმეტრის კონტროლი და საჭირო იყო სხვადასხვა პერიმეტრზე გადართვა, რის შესახებაც აღინიშნა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში. ამასთან, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას აღნიშნა, რომ სისტემას დაამატა მონიტორები (ვიზიტის დღესვე განხორციელდა მონიტორების შესყიდვა). ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- ვიზიტის დროს არ იწარმოებოდა ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი, დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად, რის შესახებაც გაიცა რეკომენდაცია. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას

დაწესებულების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტმაში სკოლის პროფილის გადამოწმების შედეგად მოსწავლის გვერდზე რეგისტრირებული აღმოჩნდა მხოლოდ თითო მშობელი. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის განახლების დამადასტურებელი მასალა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

  დაწესებულებას დამატებით გათვალისწინებული აქვს ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან რჩევის სახით გაცემული წინადადებები, რაც დასტურდება წარმოდგენილი მოდიფიცირებული დოკუმენტაციით. ამასთან, დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა ერთ შემთხვევაში დააზუსტა რჩევა, რაც ასახულია დასკვნის შესაბამის ნაწილში.

X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

გთხოვთ, ასახოთ ინფორმაცია შეცვლილ ფართზე კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ

სკოლა საქმიანობას ახორციელებს ქალაქ ქუთაისში, აღმაშენებლის გამზ. №20-ში. #03.04.25.15 საკადასტრო კოდით აღრიცხული მიწის ნაკვეთი და მასზე განთვასებული შენობა-შენობა-ნაგებობები №1 (3300.04 კვ.მ) და შენობა-ნაგებობა №2 (317.57) საკუთრების უფლებით ეკუთვნის შპს „პროგრესი კაპიტალ გრუპს“ და იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს შპს „ქართულ-ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესს“, 2024 წლის 6 აგვისტოს, 9 წლის ვადით. სკოლას აქვს ეზო, სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით და კურიკულუმის განსახორციელებლად საჭირო სპორტული ინვენტარით. სკოლაში არის 51 საკლასო ოთახი, თითოეულ საკლასო ოთახში განთავსებულია ინდივიდუალური მერხები და სკამები. თითოეულ საკლასო ოთახში დაწესებულებას გათვალისწინებული ჰყავს 15-დან 21 მოსწავლემდე. სკოლის ყველა საკლასო

ოთახი აღჭურვილია მონიტორით და სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ყველა სახის ინვენტარით. სკოლას ასევე აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 20 კომპიუტერი. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისთვის ასევე მოწყობილია ლაბორატორია, სკოლა ფლობს როგორც მატერიალურ აღჭურვილობას და ინვენტარს, ისე ვირტუალურ-რეალურ ლაბორატორიას. სკოლის ბიბლიოთეკაში არის როგორც მხატვრული ლიტერატურა, ასევე გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები. სკოლა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით.

სკოლაში 2023 წლის ბოლოს განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგების და დამატებით წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით, სკოლას აქვს შესაძლებლობა, მომსახურება გაუწიოს 900 მოსწავლეს.
ასევე, დამატებით სკოლის დამფუძნებელ კომპანიას შპს „პროგრესის კაპიტალ გრუპს“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ტეს-ტესტილთან“ 100 მერხის და სკამის შეკვეთის თაობაზე, რაც უნდა დამზადდეს 2024 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით. უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით საჭირო იქნება შპს „პროგრესი კაპიტალ გრუპსა“ და სკოლას შორის ინვენტარის იჯარის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება ან დამფუძნებლის შენატანის სახით სკოლისათვის გადაცემა, რათა დამატებით დამზადებული მერხები და სკამები სკოლის მართლზომიერ მფლობელობაში გადავიდეს.
სკოლაში მასწავლებლის, ადმინისტრაციულ და დამხმარე თანამდებობებზე დასაქმებულია 160 ადამიანი, მათ შორის, 113 მასწავლებელია.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა:</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება

☐</td><td>აღწერა
(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება

☐</td><td></td></tr>
</table>

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.3.1.3	*სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა*	*სასურველია, „სკოლაში საჩივრების/განცხადებების განხილვის წესში“ უკეთ გამოიკვეთოს საქართველოს ორგანული კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებული ბავშვის უფლება მისი აზრის მოსმენასა და გათვალისწინებაზე, ასევე, უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვისათვის საკუთარი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მისი ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად და უფლებების დარღვევის შემთხვევაში, არსებობდეს კონფიდენციალური კონსულტაციის და მხარდაჭერის შესაძლებლობა.*

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) <u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>

ნაწილი III.

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების სტრუქტურას განსაზღვრავს და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს არეგულირებს სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 9 სექტემბრის №06/11 ბრძანება შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის სტრუქტურის, სტრუქტურული დაქვემდებარებისა და სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების დამტკიცების შესახებ. სკოლის სტრუქტურა ითვალისწინებს იერარქიულ დაქვემდებარებას, მოიცავს დირექტორებს, სამსახურებს, დისციპლინურ კომიტეტს და მოსწავლეთა თვითმმართველობას. თითოეული პოზიციისათვის განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეული, საჭიროების შემთხვევაში - დაქვემდებარება და დაქვემდებარებული პოზიცია/პოზიციები, პოზიციის ძირითადი ფუნქცია და მოვალეობები, სამუშაო პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები სავალდებულო განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების, კომპეტენციებისა და პიროვნული მახასიათებლების სახით. ასევე, რიგი პოზიციებისათვის განსაზღვრულია აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცოდნა. დოკუმენტებში ასევე გათვალისწინებულია ანგარიშგების და საჭიროების შემთხვევაში, ურთიერთჩანაცვლების საკითხები. სამუშაო აღწერილობები წარმოადგენს სკოლაში დასაქმებული პირის შრომითი ხელშეკრულების ნაწილს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული, გათვალისწინებულია როგორც ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნები, ისე - შიდაორგანიზაციულ დონეზე დადგენილი

მოთხოვნები. დოკუმენტაციაში ვიზიტის დროს აღმოჩნდა ტექნიკური უზუსტობები, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რჩევები. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ წარმოადგინა მოდიფიცირებული დოკუმენტაცია. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. თითოეული სამუშაო პოზიციისათვის განსაზღვრულია ფუნქცია-მოვალეობები, სამუშაო აღწერილობების სახით. დოკუმენტაცია მთლიანობაში, მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას, რაც სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას უკავშირდება. სკოლის განვითარების გეგმებში პასუხისმგებლობები ადექვატურად არის გადანაწილებული, გათვალისწინებულია სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის სფეროები. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა და საშტატო განრიგი;
- შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ დირექტორის 2024 წლის 9 სექტემბრის №06/11 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურულ ერთეულთა - პოზიციათა ფუნქციები და დაქვემდებარება, სამუშაო აღწერილობები და საშტატო განრიგი;
- სკოლის ორგანოგრამა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციაში პერსონალის მართვის პროცესში გამოსაყენებელ ძირითად პრინციპებს, ასევე, არეგულირებს პერსონალის სამუშაოზე აყვანის, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობების დაკისრების საკითხებს. ორგანიზაცია ძირითად ღირებულებებად განსაზღვრავს: პროგრესულობას, თანასწორობას, სამართლიანობას, ზრუნვას, გამჭვირვალობასა და გუნდურობას. ადექვატურად არის რეგულირებული თანამშრომელთა სამუშაოზე აყვანის, თანამშრომელთა მუშაობის შეფასების საკითხები. ორგანიზაცია, გარდა იმისა, რომ ეწევა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას, ასევე ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, აღნიშნული მიდგომა ასევე გათვალისწინებულია სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკაშიც. გამოვლინდა რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რჩევები. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა მოდიფიცირებული დოკუმენტები, რაც გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის შედგენისას. დადებითად ფასდება სკოლის პრაქტიკები, მათ შორის, წახალისების სისტემა, რომელიც ემყარება თანამშრომელთა 360 გრადუსიან შეფასებას, ასევე, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების მექანიზმები. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის საკადრო პოლიტიკა ითვალისწინებს პრევენციულ და ინტერვენციულ მექანიზმებს. წინასწარ ხორციელდება სამუშაოს ანალიზი და დაგეგმვა, სამუშაო აღწერილობების დადგენა. ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები ითვალისწინებს ურთიერთჩანაცვლების საკითხებს. იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელი სარგებლობს შვებულებით, მივლინებით ან აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ობიექტური მდგომარეობა, ფუნქციების დაკისრება ხორციელდება სხვა თანამშრომლებზე/შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბიზნეს პროცესების უწყვეტობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ დაწესებულება ორიენტირებულია პოზიტიური სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბებაზე, თანამშრომლების შეფასებასა და განვითარებაზე. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები (სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი; სკოლაში პერსონალის მიღების წესი) როგორც ადმინისტრაციული პოზიციებისთვის, ისე მასწავლებლების შემთხვევაში უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. ვიზიტის ფარგლებში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, თითოეულ შემთხვევაში დადასტურდა სკოლის პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. პერსონალს წარმოდგენილი აქვს ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობის შესახებ“, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით „ნასამართლობის შესახებ“. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა ერთ-ერთ მთავარ ღირებულებად განსაზღვრავს გუნდურობას და ორიენტირებულია ისეთი გარემოს შექმნაზე, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღება გუნდურად, სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით. დაწესებულებას აქვს

გუნდის შეკვრის (ე.წ. თიმბილდინგის) კარგი პრაქტიკები. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტით, ასევე, სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია თანამშრომელთა მოტივირების სქემა, წახალისების ფორმები. დაწესებულებაში პერიოდულად ეწყობა ვორქშოფები, კონფერენციები, რაც წარმატებული გამოცდილების გაზიარებას ემსახურება. სკოლაში დანერგილია თანამშრომელთა შეფასების სისტემა, მშობელთა და მოსწავლეთა, ასევე, ხელმძღვანელთა მხრიდან შეფასების შედეგებზე დაყრდნობით გათვალისწინებულია წარმატებული პედაგოგების დაჯილდოება. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა;

სკოლაში დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პირადი საქმეები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალის შეფასების პოლიტიკა“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის №02/199 ბრძანებით. ასევე, თანამშრომელთა შეფასების საკითხებს არეგულირებს სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი. გამოიყენება როგორც შეფასება, ასევე - თვითშეფასება. შეფასების პროცესში მონაწილეობენ დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელი, კოლეგები, დაქვემდებარებულებისგან და „მომხმარებლებისგან“, მათ შორის, 14 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ მოსწავლეებიც აფასებენ სკოლის პერსონალს. სკოლაში ასევე ტარდება პერიოდული გამოკითხვა თანამშრომელთა ტრენინგსაჭიროებების განსაზღვრის მიზნით. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. პერსონალის განვითარების მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს პერიოდული ტრენინგების, შეხვედრების ორგანიზებას, მუშავდება კონკრეტული ღონისძიებების გეგმა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ორგანიზებული ტრენინგების ჩამონათვალი, ასევე, პროფესიული განვითარების სხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, რომელშიც მონაწილეობდა დაწესებულების პერსონალი. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალის პროფესიული და კარიერული განვითარების მექანიზმები. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლობის მაძიებლებს სტატუსის მოპოვებაში, ასევე,

მოქმედ მასწავლებლებს სტატუსის ამაღლებაში. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრირების საკითხებს. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ფუნქციებში შედის ახალი თანამშრომლისათვის დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებით ყველა სახის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება. თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან ხელს უწყობს მისი უშუალო ხელმძღვანელი, ასევე, სხვა თანამშრომლები, საკითხის გათვალისწინებით. მასწავლებლის პოზიციაზე შერჩეულ პირებს, თუ არ აქვთ შესაბამისი გამოცდილება, უტარდებათ ტრენინგები/კონსულტაციები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა პერიოდულად უზრუნველყოფს გუნდის შეკვრისათვის აქტივობების მოწყობას, რაც ხელს უწყობს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციასაც და ასევე, აუმჯობესებს ზოგადად, სკოლაში დასაქმებულ პირებს შორის თანამშრომლობის ხარისხს, აყალიბებს პოზიტიურ ორგანიზაციულ კულტურას. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლას შემუშავებული აქვს ტრენინგების საჭიროების კვლევის კითხვარი რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება პერსონალის გადამზადების მიმდინარე წლის პროგრამა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა, ასევე, სკოლის პერსონალის შეფასების პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას. ინიციატივა შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის შეფასების საფუძველზე ან უშუალოდ თანამშრომელთა მხრიდან. პედაგოგთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები განიხილება საგნობრივ კათედრებზე. სკოლა საჭიროების შემთხვევაში, აფინანსებს თანამშრომელთა პროფესიულ გადამზადებას. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა;

- სკოლის პერსონალის შეფასების პოლიტიკა;
- სკოლის მასწავლებლების სტატუსის ამაღლების მიზნით მასწავლებლის სახლისათვის გაგზავნილი კორესპოდენციის ნიმუშები;
- სკოლის მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების ანგარიში;
- თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმები;
- ტრენინგების საჭიროებების კითხვარი;
- ახალი თანამშრომლის გამოკითხვის ფორმა;
- სკოლის სტაჟირების პროგრამა პროფესიაში ახალი მასწავლებლების შემოყვანის მიზნით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 6 სექტემბრის №02/112 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული. სამსახური წარმოდგენილია სამსახურის უფროსის, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის სახით. დოკუმენტში იდენტიფიცირებულია სკოლაში მიმდინარე მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, ასევე, თითოეული მათგანის შეფასების მიზნით, რისკების შეფასების მეთოდოლოგია და შეფასების პროცესის განხორციელების შეფასების წესი. ხარისხის უზრუნველყოფა განსაზღვრულია P-D-C-A ციკლით, რომელიც გულისხმობს დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და განვითარების ფაზების ურთიერთმონაცვლეობას. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში მიმდინარე პროცესები ინდენტიფიცირებულია ძირითად, მმართველობით და დამხმარე პროცესებად. განსაზღვრულია პროცესის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები, ქვეპროცესები, პროცესში მონაწილე პირები და პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები. სკოლა მმართველობით პროცესებად განსაზღვრავს სტრატეგიულ დაგეგმვას, წლიურ დაგეგმვას და ხარისხის უზრუნველყოფას, ძირითად პროცესებად - კურიკულუმის განვითარებას, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, დანერგვას, შეფასებას და განვითარებას (სასურველია, შესწორდეს ტექნიკური უზუსტობა და განისაზღვროს პროფესიულთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო

კურიკულუმებიც), ხოლო დამხმარე პროცესებს მიაკუთვნებს: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოებას, მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის სერვისების განხორციელებას, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელებას, შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, ფინანსური რესურსებს მართვას, ადამიანური რესურსების მართვას, მატერიალური რესურსის მართვას, უსაფრთხოების უზრუნველყოფას და წესრიგის დაცვას, საზოგადოებასთან ურთიერთობას და საქმისწარმოებას. თითოეული პროცესი წარმოდგენილია აღწერილობების სახით. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, რომელიც გაწერილია შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2023 წლის 13 ნოემბრის № 02/174 ბრძანებით დამტკიცებულ სკოლის შინაგანაწესში. სკოლაში გამოცემული ბრძანებები შეიცავს გასაჩივრების ვადასა და ადგილს. სკოლაში კონკურსის ჩატარებისას, კანიდიდატს შეუძლია კომისიის და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს სპეციალურად შექმნილ საპრეტენზიო კომისიასთან. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სკოლაში საჩივრების/განცხადებების განხილვის წესი, რომელიც ითვალისწინებს მიმართვის, საჩივრის, განცხადების შედგენის, რეგისტრაციის და განხილვის საკითხებს. დაწესებულებას მიეცა რჩევა, წესში უკეთ გამოიკვეთოს არასრულწლოვნების მოსმენის და საკითხის განხილვაში მონაწილეობის თავისებურებები. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ ასევე წარმოადგინა მოდიფიცირებული საჩივრის განხილვის წესი, რომელშიც არასრულწლოვანი პირების მიერ საჩივრების განხილვის საკითხზე უკეთ არის დაზუსტებული, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი აზუსტებს რჩევას, „სკოლაში საჩივრების/განცხადებების განხილვის წესში“ უკეთ გამოიკვეთოს საქართველოს ორგანული კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებული ბავშვის უფლება მისი აზრის მოსმენასა და გათვალისწინებაზე, ასევე, უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვისათვის საკუთარი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მისი ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად ხელმისაწვდომობა და უფლებების დარღვევის შემთხვევაში, არსებობდეს კონფიდენციალური კონსულტაციის და მხარდაჭერის შესაძლებლობა. ექსპერტთა **ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები გამოკვეთილია სკოლის შინაგანაწესში, პერსონალთან და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. თანამშრომლეთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხდება ხელშეკრულების პირობების და სამუშაო აღწერილობების გაცნობის დროს. მშობელთა/მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების უფლებებს ასევე განამტკიცებს მშობლებთან ურთიერთობის დებულება. სკოლაში ჩამოყალიბებულია მშობელთა წარმომადგენლობითი ორგანო - მშობელთა ასოციაცია, რაც ასევე დადებით პრაქტიკად შეფასდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთა ასოციაცის დებულება;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა;
- კანონიერ წარმომადგენლებთან და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები;
- განცხადებების/საჩივრების განხილვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმების სახით, სკოლას აქვს რამდენიმე კარგი პრაქტიკა: სკოლის რეგულაციები სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტისას ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას, ასეთად შეგვიძლია განვიხილოთ, მაგალითად, თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების შემუშავების/ცვლილების პროცესში სამუშაო ჯგუფის შექმნა, მშობელთა ასოციაციის ფუნქციონირება, კათედრების და პედაგოგიური საბჭოს ფარგლებში მასწავლებელთა ჩართულობა, დამრიგებლების მუშაობა მოსწავლეებისა და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლებისათვის სკოლის შიდა რეგულაციებზე, როგორებიც არის სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის შეფასება, მოსწავლის ქცევის კოდექსი, სკოლაში დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით. ამასთან, ტარდება პერიოდული გამოკითხვები, რაც სკოლის მენეჯმენტს აძლევს საშუალებას, სასკოლო საზოგადოების წევრების მოსაზრებები გაითვალისწინოს შემდგომი საქმიანობის დაგეგმვის ეტაპზე. ასევე, უზრუნველყოფილია მშობელთა ასოციაციის მხრიდან წინადადებების წარმოდგენის შესაძლებლობა. სკოლაში განთავსებულია სპეციალური ყუთებიც, რომელთა მეშვეობით ნებისმიერ მსურველს შეუძლია მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას მისთვის აქტუალურ საკითხზე და დაცული იქნება კონფიდენციალურობა. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში//მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობის უზრუნველყოფილია კათედრების, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მშობელთა ასოციაციის ფუნქციონირებით. თანამონაწილეობითი პროცესია სტრატეგიული დაგეგმვა, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება და ა.შ. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის კათედრის დებულება;
სკოლის მოსწავლეთა მშობლების ასოციაციის დებულება;
მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისათვის შიდა და გარე პერიმენტრზე დამონტაჟებულია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, უსაფრთხოებას ემსახურება 3 თანამშრომელი. სკოლას შემუშავებული აქვს და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ყველა სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, განთავსებულია ცეცხლმაქრები და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან გაგზავნილი კორესპოდენცია და მის საფუძველზე დაწესებულებაში განხორციელებული შემოწმების შედეგები. აღნიშნულის შემდეგ დაწესებულებამ განმეორებით მიმართა შესაბამის სამსახურს, რომლითაც ატყობინებს ხარვეზების აღმოფხვრას და ითხოვს განმეორებით შემოწმებას. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სკოლაში იმყოფებოდა შესაბამისი კვალიფიკაციის და უფლებამოსილების მქონე პირი - ექსპერტი, რომელმაც შეაფასა დაწესებულების მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოება. დასკვნის მიხედვით შენობა-ნაგებობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექსპლუატაციისათვის უსაფრთხოა. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებასა და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი სამსახური. გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულება კომპანია „ჯეო სეიფთისთან“ რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების

სერთიფიცირებული სპეციალისტის, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის მომსახურებას. ოფიცერის შესახებ შესახებ ინფორმაცია მიწოდებულია პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურთან (ინფორმაცია იძებნება სამსახურის ვებგვერდზე). **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში შექმნილია სამედიცინო კაბინეტი და აყვანილია სამედიცინო პერსონალი. კაბინეტის ფუნქციონირება და სამედიცინო პერსონალის კავლიფიკაცია შეესაბამება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებას (2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანება). სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს სკოლაში სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების თავისებურებებს. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები და ინვენტარი, დადასტურდა მათი შესაბამისობა ზემოთ აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც შეთანხმდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (დადებითი პასუხი დაწესებულებამ მიიღო 2022 წლის 11 ივლისს), რის შემდეგაც დამტკიცდა სკოლის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით. სკოლაში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ უსაფრთხო სკოლის კორდინატორები. სკოლა აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით და მიმდინარეობს ვიდეოკონტროლი სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე. წესრიგის დაცვისა და პრევენციის მიზნით სკოლა პერიოდულად ატარებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მშობლებისათვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის. არასამუშაო პერიოდში სკოლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დარაჯი. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უსაფრთხოებაზე ასევე პასუხისმგებლები არიან მორიგე მასწავლებლები,

რომლებიც უსაფრთხოების კოდინატორებთან ერთად მეთვალყურეობას უწევენ საერთო წესრიგის დაცვას სკოლაში. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია გარეშე პირების გადაადგილება. სკოლის ტერიტორიაზე შესვლისას ხორციელდება ვიზიტორთა აღრიცხვა. განსაზღვრულია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებით გამოვლინდა შემდეგი გარემოება: სკოლა შიდა და გარე პერიმეტრს აკონტროლებს 54 ვიდეო კამერით, თუმცა, ერთი მონიტორის მეშვეობით ვერ ხერხდებოდა პერიმეტრის სრულად დაფარვა, რის გამოც სხვადასხვა ლოკაციის სანახავად აუცილებელი იყო გადართვა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ უზრუნველეყო უფრო დიდი მონიტორის განთავსება ან ერთდროულად სამი მონიტორის განთავსება, რა შემთხვევაშიც, შესაძლებელი იქნებოდა სრული პერიმეტრის მუდმივი მონიტორინგი. ვიზიტის დღეს სკოლამ დამატებით შეისყიდა მონიტორები და წარმოადგინდა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა საბოლოო დასკვნის შედგენისას. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზნით, სკოლას სამუშაოზე აყვანილი ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც სკოლის პერსონალს და მოსწავლეებს სთავაზობს საჭირო მხარდაჭერას. სამუშაო მოიცავს ინდივიდუალურ კონსულტაციებს, ჯგუფურ სესიებს და სხვა აქტივობებს. სკოლას შემუშავებული აქვს „ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ითვალისწინებს ამ მიზნით პრევენციული და საინფორმაციო აქტივობების გატარებას. სკოლაში დასაქმებულია ორი ფსიქოლოგი, რომლებიც საქმიანობენ წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით. პერიოდულად ეწყობა ღონისძიებები ბულინგის საწინააღმდეგოდ, სასწავლო გეგმით ყველა კლასისათვის განსაზღვრულია „სოციალურ-ემოციური უნარების“ საგნის სწავლება, რაც ემსახურება მოსწავლეების პიროვნული და სოციალური კომპეტენციების ამაღლებას. სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს განვითარებას ხელს უწყობს ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს შესაბამის საკითხებს. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ დიასახლისები, რომლებიც უზრუნველყოფენ შენობის შიდა და გარე პერიმეტრის, სანიტარული კვანძების დასუფთავებას. დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია სანიტარული ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე ექიმის მოვალეობაა, განახორციელოს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა. სკოლას დამტკიცებული აქვს წესი, როგორ უნდა მოხდეს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა სკოლაში. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმები. წესით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები, პროცედურები და განსაზღვრულია მონაცემთა სუბიექტის უფლებები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე. მოსწავლეთა პირადი საქმეების შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების სამსახურის ხელმძღვანელი, ხოლო თანამშრომელთა პირადი საქმეების შენახვა/დაცვაზე პასუხსიმგებელია ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი. აღნიშნული უზრუნველყოფილია შპს „ჯეო სეფთისთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. ოფიცრის შესახებ ინფორმირებულია პერესონალური მონაცემების დაცვის სამსახური. ოფიცერი უზრუნველყოფს საჭირო შიდაორგანიზაციული რეგულაციების შემუშავებას, დანერგვას და ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მონიტორინგს. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
7. სკოლა მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას უზრუნველყოფს სხვადასხვა შექმნილ/შენახულ დოკუმენტებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრით. ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა აქვს პასუხისმგებელ თანამშრომელს, პერსონალის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის სათანადოდ შენახვას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხოლო მოსწავლეებთან დაკავშირებით, ასევე, სკოლაში შექმნილ სხვა დოკუმენტებთან დაკავშრებით - საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების სამსახურის ხელმძღვანელი. განსაზღვრულია პირი, რომელსაც უშუალოდ აქვს წვდომა ელექტრონულ ჟურნალზე.

ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას ემსახურება ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას განსაზღვრავს როგორც ერთ-ერთ პროცესს, გაწერილია პროცესის შეფასების მექანიზმები. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისაგან მიღებული წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ საგანგებო მართვის გეგმა შეთანხმებულია შესაბამის უწყებასთან;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში ექსპერტის მიერ მომზადებული დასკვნა;
- სკოლაში სახანძრო უსაფრთხოების შეფასების მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგები;
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მიზნით სამუშაოზე აყვანილ პირებთან (უსაფრთხო სკოლის კოორდინატორები, დიასახლისები, სამედიცინო პერსონალი, ფსიქოლოგი) გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების, სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დოკუმენტი, მიმოწერა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, წესის პროექტის შეთანხმების მიზნით;
- სოციალურ-ემოციური უნარების სახელმძღვანელო;
- სადამრიგებლო პროგრამის სამოქმედო გეგმა;
- სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;

- შპს „ჯეო სეიფთისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება;
- პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურის ვებგვერდი (რომელზეც იძებნება მონაცემები სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის შესახებ);
- სკოლის IT მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
- უსაფრთხო სკოლის კორდინატორებთან გაფორმებული ხელშეკრულება
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საქმიანობას ახორციელებს ქალაქ ქუთაისში, აღმაშენებლის გამზ. №20-ში. #03.04.25.15 საკადასტრო კოდით აღრიცხული მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1 (3300.04 კვ.მ) და შენობა-ნაგებობა №2 (317.57) საკუთრების უფლებით ეკუთვნის შპს „პროგრესი კაპიტალ გრუპს“ და იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს შპს „ქართულ-ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესს“, 2024 წლის 6 აგვისტოს, 9 წლის ვადით.

სკოლას აქვს ეზო, სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით. სკოლაში არის 51 საკლასო ოთახი, საკლასო ოთახებში განთავსებულია ინდივიდუალური მერხები და სკამები. თითოეულ საკლასო ოთახში დაწესებულებას გათვალისწინებული ჰყავს 15-დან 21 მოსწავლემდე. სკოლის ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მონიტორით და სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ყველა სახის ინვენტარით. სკოლას ასევე აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 20 კომპიუტერი. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისათვის მოწყობილია ლაბორატორია, სკოლა ფლობს როგორც მატერიალურ აღჭურვილობას და ინვენტარს, ისე ვირტუალურ-რეალურ ლაბორატორიას. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კაფეტერია, სკოლას ასევე აქვს სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის როგორც მხატვრული ლიტერატურა, ასევე გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები. სკოლის ბიბილიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით. სკოლაში 2023 წლის ბოლოს განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგების და დამატებით წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით, სკოლას აქვს შესაძლებლობა, მომსახურება გაუწიოს 900 მოსწავლეს. სკოლის დამფუძნებელ კომპანიას შპს „პრიგრესის კაპიტალ გრუპს“ დამატებით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ტეს-ტესტილთან“ 100 მერხის და სკამის შეკვეთის თაობაზე, რაც უნდა დამზადდეს 2024 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით. უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით საჭირო იქნება შპს პროგრესი კაპიტალ გრუპსა“ და სკოლას შორის ინვენტარის იჯარის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება ან დამფუძნებლის შენატანის განხორციელება, რათა დამატებით დამზადებული მერხები და სკამები სკოლის მართლზომიერ მფლობელობაში გადავიდეს. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების განხორციელების და სრულფასოვანი დასვენების საშუალებას. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, სივრცე სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისთვის. საბიბლიოთეკო, საინფორმაციო სივრცეები, სამედიცინო კაბინეტი, კვების ბლოკი, კომპიუტერული ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, ადმინისტრაციული სივრცე, მასწავლებელთა სამუშაო სივრცე. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიებით სარგებლობის წესი. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს მატერიალური რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობის საკითხებს. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს სამკითხველო სივრცეც. ბიბლიოთეკა საქმიანობს საკუთარი დებულების საფუძველზე, სამუშაო საათებად განსაზღვრულია 09:00 – 17:00 საათები, რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, სკოლას აქვს ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგი. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებებთან. სკოლას აქვს შესაბამისად აღჭურვილი რესურს ოთახი, სკოლაში არის პანდუსები, ლიფტი, ადაპტირებული სველი წერტილები. აღსანიშნავია, რომ სკოლაში დღეისათვის არ ირიცხება სსსმ მოსწავლე. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ეზო, სპორტული დაბრაზი, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთკა მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების საშუალებას იძლევა. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

- ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების, მატერიალური რესურსით სარგებლობის და ლაბორატორიის სარგებლობის წესი ბრძანება 02/160/15.10.2023 წ.
- ბიბლიოთეკის დებულება, ბრძანება 02/194.21.12.2023 წ.
- ელექტრონული ბიბლიოთეკის გამოყენების ინსტრუქცია
- ხელშეკრულება მერხების დამზადების თაობაზე;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- ლიფტის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე, სხვა სამუშაო სივრცეები. სკოლას შემუშავებული აქვს „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი", რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის უსაფრთხოდ გამოყენების, შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს.

საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ინტერნეტით და მონიტორებით. ბიბლიოთეკაში, რესურსოთახში, კომპიუტერულ და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში განთავსებულია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები. კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მიზნით გამოიყენება 20 კომპიუტერი და 20 ნოუთბუქი. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მოსწავლეებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია დამტკიცებული წესების შესაბამისად. ინფრასტრუქტურა მოიცავს კომპიუტერულ სისტემებს, ქსელურ რესურსებს, ინტერნეტ კავშირს და სხვა აუცილებელ ციფრულ ინსტრუმენტებს, რომლებიც სწავლებისა და სამუშაო პროცესების გამართულად წარმართვისთვის არის საჭირო. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის, მატერიალური რესურსებით სარგებლობის და ლაბორატორიების სარგებლობის წესი" (დამტკიცებულია სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 15 ოქტომბრის №02/160 ბრძანებით).

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში შემუშავებულია და გენერალური დირექტორის 2024 წლის 19 მარტის №01-03/03 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eflow) მუშაობას, დოკუმენტაციის შექმნას და ავტომატურ აღრიცხვას. დოკუმენტაციის ნაწილი წესის მიხედვით იწარმოება და აღირიცხება მატერიალური სახით. დაწესებულება გეგმავს დოკუმენტბრუნვის სრულად ელექტრონულ მოდელზე გადასვლას. ვიზტის არ იწარმოებოდა ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი, რის შესახებაც გაიცა რეკომენდაცია. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (eflow), თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები საჭირო კომპეტენციების განვითარების მიზნით. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის პასუხისმგებელი თანამშრომელი აწარმოებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემების ასახვას. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად მოსწავლეების გვერდებზე რეგისტრირებული აღმოჩნდა მხოლოდ თითო მშობელი.

   სკოლას ასევე მიეცა რჩევა, სკოლის პერსონალის პოზიციების შესაბამისი თანამდებობების ბაზაში დამატების თაობაზე წერილობით მიემართა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის (თანამშრომლები დამატებულები იყვნენ ბაზაში, თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი თანამდებობის არჩევის საშუალებას

არ იძლეოდა ბაზა, დაფიქსირებული იყო მსგავსი/მონათესავე თანამდებობები). არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი წერილი, ასევე, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის განახლების დამადასტურებელი მასალა. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულების საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია შემოსულ კორესპოდენციაზე პასუხის მომზადების წესი და ვადები. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი, დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 19 მარტის №.01-03/03 ბრძანებით;
- (Eflow) მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური. სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის №02/122 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის „საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი“. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც საჭიროების შესაბამისად ახლდება ინფორმაცია. სკოლაში აქტივობები ზიარდება ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მეშვეობით. დომეინისა და ჰოსტინგის შესყიდვის თაობაზე მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „პროსერვისთან“.ვებგვერდის ადმინისტრირებაზე/ტექნიკურ მართვაზე პასუხისმგებელია WEB დეველოპერი, ხოლო სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე/ტექნიკურ მართვაზე პასუხისმგებელია სოციალური და ციფრული კომუნიკაციების მენეჯერი. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის „საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის“ მიზანია სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობა, სანდო, უტყუარ და ობიექტურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, საკომუნიკაციო მომსახურების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის გაზრდა; საზოგადოების უკუკავშირი სკოლის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის იყენებს სხვადასხვა არხებს, მათ შორის: ვებგვერდს, სოციალურ ქსელს. კომუნიკაციის წესი ითვალისწინებს უკუკავშირის მიღებას, უკუკავშირის საფუძველზე საქმიანობის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავებას და გენერალური დირექტორისთვის წარდგენას. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ვებგვერდი ფუნქციონირებს ქართულ ენაზე, ასევე, ინგლისურ ენაზე (სკოლა ახორციელებს ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებსაც). **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის მე-5 მუხლი განსაზღვრავს ვებ გვერდზე სავალდებულოდ განსათავსებელ ინფორმაციას. წესის შესაბამისად, ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- პიარ-მარკეტინგის გეგმა;
- სოციალური მედიის ანალიზი;
- ციფრული მედიის სტრატეგია;
- (ვებგვერდი)დომენის და ჰოსტინგის შესყიდვის ხელშეკრულებები.
- ვებ გვერდის ლინკი: https://kutaisi.schoolprogress.ge/ka

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ძირითად შემოსავლებს წარმოადგენს სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება. სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი ქმნის საფუძველს სკოლის სტაბილურად ფუნქციონირებისათვის. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა განხორციელებადია სკოლის ფინანსური რესურსით. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის სტრუქტურა ითვალისწინებს ფინანსური და ბიზნესის განვითარების დირექტორის, ფინანსური ასისტენტის და ბუღალტრის პოზიციებს. თანამშრომლებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილება აყალიბებს სისტემას, რომელიც რესურსების ეფექტურად დაგეგმვის, განკავრგვისა და მონიტორინგის შესაძლებლობას იძლევა. სკოლას შემუშავებული აქვს 2024-2025 სასწავლო წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

- ფინანსური მდგრადობის ანგარიში;
- ფინანსური და ბიზნესის განვითარების დირექტორის, ბუღალტრის და ფინანსური ასისტენტის სამუშაო აღწერილობები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1 (ერთი) ელექტრონული ფაილი.

თარიღი: 13.11.2024 წ.